მიღებული გრანტები

1. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“-გან 2022 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა 1 259 936,00 აშშ დოლარი (4 062 537,64 ლარი). აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტის და ოპერირების დაფინანსებისთვის. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 4 493 333,56 ლარს.

2. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„საქართველოს ვიცე–პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ 2019 წლის 10 მაისის ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2022 წელს გრანტის სახით ჩამორიცხულ იქნა 32 456,00 ევრო (100 824,25 ლარი).

3. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) მიერ გაცემული ფულადი გრანტი

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრისაგან (ISTC) 2022 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა 1 350,00 აშშ დოლარი (4 344,03 ლარი).

4. ევროკომისიის კვლევის აღმასრულებელი სააგენტოს (ECREA) მიერ გაცემული ფულადი გრანტი

ევროკომისიის კვლევის აღმასრულებელი სააგენტოსაგან (ECREA) 2022 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა 11 228,38 ევრო (36 454,06 ლარი).